

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №21

28 სექტემბერი 2016 წელი

ქ. ბათუმი
18⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მკვა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, მამუკა ჯაში, ნუგზარ ბაჯელიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა კოპალეიშვილი და კახაბერ ჯაიანი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის - ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“-ს დამკვირვებელი რამინ შავაძე, საარჩევნო სუბიექტების და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების ტექსტების დადგენის შესახებ;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ;

3. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ;

4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას: პარმენ ჯალაღონიამ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ აღნიშნა, რომ უსკოს 2016 წლის 23 სექტემბრის №40 განკარგულებით დადგენილი აქვს საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (საოლქო პროპორციული), საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის (საოლქო მაჟორიტარული), საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (საუბნო პროპორციული) და საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების (საუბნო მაჟორიტარული) სახეები, შესაბამისად, საარჩევნო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული შემაჯამებელი ოქმების ტექსტების დადგენა და კომისიას შესთავაზა დღის წესრიგის პროექტიდან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების ტექსტების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის ამოღების თაობაზე წინადადება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებს სხდომის თავმჯდომარის მიერ შეთავაზებულ წინადადებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის პროექტიდან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების ტექსტების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის ამოღებისა და მის გარეშე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ;

2. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ;

3. სხვადასხვა.

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პროპორციული ბიულეტენის ტექსტი თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული ბიულეტენების ტექსტები თანდართული ნიმუშების შესაბამისად, შემდეგი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისათვის:

- ა) №68 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- ბ) №69 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- გ) №70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- დ) №71 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- ე) №72 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
- ვ) №73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

2. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კომისიის წევრებს გააცნო „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესის

დაკვირვების უფლება აქვთ უსკოს განკარგულებით დანიშნულ კომისიის წევრებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის უსკოს მიერ რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე ბიულეტენის ბეჭდვის პროცესში წარმოადგენენ არა უმეტეს სამ დამკვირვებელს. სხდომაზე დამსწრე დამკვირვებელ ორგანიზაციის ა.ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“ თავმჯდომარეს რამინ შავაძეს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა - ხომ არ აქვს სურვილი დაესწროს მათი ორგანიზაციის დამკვირვებელი ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს. რამინ შავაძემ განაცხადა, რომ თვითონ დაესწრებოდა დამკვირვებლის სტატუსით ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესს. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ უსკოს მხრიდან უსკოში რეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციები ინფორმირებული იყვნენ ბიულეტენის დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების შესახებ, მაგრამ მათი მხრიდან უსკოში რაიმე წინადადება ბიულეტენის ბეჭდვაზე დაკვირვების შესახებ არ შემოსულა, რის შემდეგაც სხდომაზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს კომისიის წევრებიდან დააკვირდებოდნენ უსკოს წევრი - თორნიკე მყავანაძე და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - გუგული დუაძე.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალალონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 70-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-60 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე მეთვალყურეობის მიზნით შეიქმნას დამკვირვებელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) გუგული დუაძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) თორნიკე მჭავანაძე - კომისიის წევრი;

გ) რამინ შავაძე - ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალალონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე